ბ.მ.ა. "თავისუფლების მოედანი – ოთხი"-ს (ს/კ 204577984)
წევრთა განმეორებითი საერთო კრების ოქმის
ამონაწერი

ქ. თბილისი

18 მაისი 2018 წელი

კრებას ესწრებოდნენ

ამხანაგობის წევრები: ...

... ამხანაგობის წესდების 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად კრებას თავმჯდომარეობდა ამხანაგობის თავმჯდომარე ქეთევან ჯიქია.

კრების თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ამ, კრებას ესწრება ამხანაგობის წევრთა 41 ხმის მქონე ბინათმესაკუთრიდან, 34 ხმის მქონე ბინათმესაკუთრე. რაც ამხანაგობის წევრთა ხმების 82% შეადგენს, ანუ 2/3-ზე მეტი ხმის მქონე ამხანაგობის წევრს...

კრების თავმჯდომარემ გამოაცხადა კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, კერძოდ:

... 3. ამხანაგობის შენობის წინა ფასადზე სარეკლამო აბრების განთავსების მსურველებთან შეთანხმებული და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მითითებების გათვალისწინებით კორექტირებული პროექტის შესახებ განმეორებითი განხილვა (საფუძველი - ამხანაგობის წევრთა 2018 წლის 05 მარტისა და 2018 წლის 05 აპრილის საერთო კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებები ამ საკითხის მესამედ განხილვის შესახებ)...

3. მოისმინეს კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი - ამხანაგობის შენობის წინა ფასადზე სარეკლამო აბრების განთავსების მსურველებთან შეთანხმებული და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მითითებების გათვალისწინებით კორექტირებული პროექტის შესახებ განმეორებითი განხილვა (საფუძველი - ამხანაგობის წევრთა 2018 წლის 05 მარტისა და 2018 წლის 05 აპრილის საერთო კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებები ამ საკითხის მესამედ განხილვის შესახებ).

აზრი გამოთქვეს:

შ.პ.ს. "შერ"-ისა და ბატონი იციკ მოშეს წარმომადგენელმა, ანი კვირიკაშვილმა, ...

შ.პ.ს. "ავიასაწვაესერვისი"-ს დირექტორმა დავით ლალიაშვილმა, ...

აზრთა გაცვლის შემდეგ, დღის წესრიგის მესამე საკითხზე, კენჭისყრის შედეგად ამხანაგობის წევრთა კრებაზე დამსწრე ხმათა 100% (ერთხმად) დაადგინეს:

3.1 მოწონებულ და დამტკიცებულ იქნას შ.პ.ს. "შერი"-ს წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის ესკიზი;

3.2 დაევალოს შ.პ.ს. "შერს" აღნიშნული კორექტირებული პროექტის ესკიზი წარადგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან შესათანხმებლად.

კრების თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა.

კრების თავმჯდომარე ქ. ჯიქია

ქეთევან ჯიქია

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათასთვრამეტი წლის ოცდახუთ მაისს მე, ნოტარიუსს ნინო მასხულიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართა ქალბატონმა **ქეთევან ჯიქიამ.**

მან წარმოადგინა *ბ.მ.ს. "თავისუფლების მოედანი – ოთხი"-ს, ს/კ 204577984, წევრთა 2018 წლის 18 მაისის განმეორებითი საერთო კრების ოქმიდან ამონაწერი*, ერთ გვერდზე, ორ ცალად და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი ვინაობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა ქალბატონმა **ქეთევან ჯიქიამ,** დაბადებულმა 1988 წლის 7 იანვარს თბილისში, პირადი №62013002210, რეგისტრირებული ქ.თბილისში, ს.წულაძის ქუჩა №29, ბინა 35.

მე მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. განვუმარტე, რომ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე კრების ოქმზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის; ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე. ქალბატონმა ქეთევან ჯიქიამ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მის მიერ წარმოდგენილ კრების ოქმზე. ვამოწმებ მისი ხელმოწერის სინამდვილეს, ერთ გვერდზე, ორ ცალად.

გადახდილია 6,72 ლარი - აქედან: სახელმწიფო 4,00 ლარი "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.3. მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის სახელმწიფო, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 0,72 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ნინო მასხულია

შეკრულია და დანომრილია
ფურცლად
ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180597124
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.05.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მასხულია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2997150
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	89054588484718

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18